

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი №23 (I)

23.01.2018.

საბჭოს სხდომას სიითი შემადგენლობის 215 წევრიდან დაესწრო 166 წევრი.

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დღის წესრიგი:

1.სამშენებლო ფაკულტეტის განვითარების 7-წლიანი სტრატეგიული გეგმისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი პროფესორი დავით გურგენიძე;

2. საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაცია და მათი ხელმძღვანელების დანიშვნა.

მომხსენებელი სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი მარინა ჯავახიშვილი;

3. მოდიფიცირებული პროგრამების ფინანსური ანალიზი.

მომხსენებელი სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერი, პროფესორი გინა გურემიძე;

4. მიმდინარე საკითხები.

**1. მოისმინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით გურგენიძის მოხსენება სამშენებლო ფაკულტეტის განვითარების 7-წლიანი სტრატეგიული გეგმისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

პროფესორმა დავით გურგენიძემ საბჭოს მოახსენა, რომ: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი აკადემიური თავისუფლების და ინსტიტუციურ პირობებში, ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის პრინციპებით და ორიენტირებულია როგორც საქართველოს, ისე ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვა-განვითარებაზე. ფაკულტეტზე განხორციელებული სამშენებლო დარგის პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფილია ბოლონის პროცესში ინტეგრაცია და შესაბამისად საერთაშორისო დონის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება. სამშენებლო ფაკულტეტს დაარსებიდან დღემდე ღირსეულად უკავია წამყვანი პოზიცია არა მარტო საქართველოში, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონის სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში.

პროფესორმა დავით გურგენიძემ აღნიშნა, რომ სამშენებლო ფაკულტეტის მისიაა შექმნას ისეთი აკადემიური გარემო და ინფრასტრუქტურა, რომელიც პიროვნებას შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს დამოუკიდებელ, სრულფასოვან წევრად. მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ფაკულტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ შემუშავებულია „სამშენებლო ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა“ 2018-2024 წლებისთვის, რომელიც სრულად შეესაბამება ფაკულტეტის მისიას და უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

სამშენებლო ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას (2018-2024 წწ.) საფუძვლად დაედო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021წწ; საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ძირითადი სარეკომენდაციო დოკუმენტები; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები; სამშენებლო ფაკულტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები; მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების შესაბამისი ფაკულტეტების გამოცდილება.

სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრისა და ქვეყნის აკადემიურ-ინტელექტუალური განვითარების მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან; სწავლების ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; დასაქმებაზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრების მომზადება; პროფესიული და უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სინთეზი; მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების (LLL) პრინციპის დაცვა; ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; ფაკულტეტის საზოგადოებრივი, სოციალური და კულტურული როლის გაძლიერება და უნივერსალური დემოკრატიულ-ლიბერალური ღირებულებებისა და სამართალცნობიერების განვითარება; საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“.

პროფესორმა დავით გურგენიძემ საბჭოს გააცნო აგრეთვე ფაკულტეტის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები:

I პრიორიტეტული მიმართულება ინსტიტუციური განვითარება;

II პრიორიტეტული მიმართულება ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება;

III პრიორიტეტული მიმართულება სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა;

IV პრიორიტეტული მიმართულება საგარეო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

განვითარების სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1 – მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი 2 – ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 3 – სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვა;

სტრატეგიული მიზანი 4 – ინსტიტუციური ეფექტურობის გაზრდა ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებით;

სტრატეგიული მიზანი 5 – სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიზანი 6 – მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 7 – სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი 8 – სტუდენტური სერვისების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 9 – ინტერნაციონალიზაციის ხარისხისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა;

სტრატეგიული მიზანი 10 – საზოგადოებასთან კავშირის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 11 – ინტერნაციონალიზმისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა.

პროფესორმა დავით გურგენიძემ საბჭოს მოახსენა აგრეთვე ინფორმაცია ფაკულტეტის მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესებაზე, ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარებაზე, ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე, სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე, სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსებზე.

**დაადგინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის განვითარების 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა წარდგენილ იქნას წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად.

**დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.**

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა დავით გურგენიძემ საბჭოს მოახსენა სამშენებლო ფაკულტეტის 3 წლიანი სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაცია. მან ისაუბრა შემდეგ საკითხებზე:

I პრიორიტეტული მიმართულება ინსტიტუციური განვითარება ;

მიზანი №1 - მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება;

მიზანი №2 - ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება;

მიზანი №3 - სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვა;

მიზანი №4 - ინსტიტუციური ეფექტურობის გაზრდა ინფრასტრუქტურის და სასწავლო-სამეცნიერო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებით;

II პრიორიტეტული მიმართულება: ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება;

მიზანი №5 - სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა;

მიზანი №6 - მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განვითარება;

მიზანი №7 - სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

I პრიორიტეტული მიმართულება: სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა;

მიზანი № 8 - სტუდენტური სერვისების განვითარება;

IV პრიორიტეტული მიმართულება: საგარეო ურთიერთობების განვითარება და ინტერნაციონალიზმის ხელშეწყობა;

მიზანი № 9 - ინტერნაციონალიზაციის ხარისხისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა;

მიზანი № 10 - საზოგადოებასთან კავშირის განვითარება.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის 3 წლიანი სამოქმედო გეგმა წარდგენილ იქნას წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

ბატონმა დავითმა საბჭოს მოახსენა, რომ „სამშენებლო ფაკულტეტის საქმიანობა ეფუძნება ავტონომიურობის (როგორც გარე ისე შიგა), აკადემიური თავისუფლების , სწავლების , სწავლისა და კვლევის ერთიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

ფაკულტეტის განვითარების სამოქმედო პროგრამა ეყრდნობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის სტრატეგიებს, ანუ ევროპული საგანმანათლებლო გარემოს ძირითად პარადიგმებს,

ცნობილთ, როგორც - ბოლონიის, კოპენჰაგენის პროცესი და ლისაბონის კონვენცია, რაც თავის მხრივ ფაკულტეტის მდგრადი განვითარების სტრატეგიაა.

ფაკულტეტის პრიორიტეტი არის და იქნება მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრება. გადაუდებელი აუცილებლობაა ინოვაციური მოღვაწეობის საკადრო უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ინოვაციური სფეროს სპეციალისტთა მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მრავალსაფეხურიანი სისტემის გამართულ ფუნქციონირებას“.

პროფესორმა დავით გურგენიძემ აღნიშნა, რომ ამჟამად 2018 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტი შეადგენს 5 619168 ლარს. (იხ დანართი 1).

2. მოისმინეს:სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის, პროფესორ მარინა ჯავახიშვილის მოხსენება საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაციისა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ.

3. მოისმინეს სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერის, პროფესორ გინა გურეშიძის მოხსენება მოდიფიცირებული პროგრამების ფინანსური ანალიზის შესახებ. აღნიშნა, რომ მოდიფიცირებული პროგრამები აკმაყოფილებენ აკრედიტაციისათვის წაყენებულ პირობებს.

**4. მიმდინარე** საკითხებში მოისმინეს სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ სამშენებლო ფაკულტეტის დამსახურებულ პროფესორს, ღვაწლმოსილ ინჟინერსა და მეცნიერს გუგა ჭოხონელიძეს შეუსრულდა დაბადებიდან 90 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით, ფაკულტეტის საბჭოს ვთხოვთ გაუწიოს რეკომენდაცია ბატონ გუგას აკადემიური საბჭოს წინაშე, რათა დაჯილდოვდეს საპატიო სიგელით და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მიეცეს ერთი თვის ხელფასი.

**დაადგინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის „დამჭირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ მუხლიდან სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორს გუგა ჭოხონელიძეს გაეწიოს რეკომენდაცია აკადემიური საბჭოს წინაშე, რათა დაჯილდოვდეს საპატიო სიგელით და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მიეცეს ერთი თვის ხელფასი.

**დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.**

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე  
/დ. გურგენიძე/

საბჭოს მდივანი

პროფესორი

პროფესორი

/რ. იმედაძე /